გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მამუკა ბაზანდარაშვილის

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

მოგახსენებთ, რომ 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 318 საკითხის განხილვაში. ვიყავი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრრულ და მიწის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, დავესწარი 2 სხდომას სადაც მონაწილეობა მივიღე 49 საკითხის განხილვაში.

ასევე, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის - 14 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 20 საკითხი.

ასევე, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრრულ და მიწის საკითხთა კომისიის- 12 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 96 საკითხი.

ვარ გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი. მონაწილეობა მაქვს მიღებული გასვლით სხდომებსა და ტრენინგებში, კერძოდ: შეხვედრები გვქონდა დიცის, ტირძნისისა და მეჯვრისხევის მოსახლეობასთან, ასევე შევხვედრა მქონდა კარალეთის N1 და N2 საჯარო სკოლების უფროს კლასელებთან, სადაც ვესაუბრე თვითმართველობის მნიშვნელობაზე თუ როგორი მნიშვნელოვანი როლი აქვთ მათ ჩართულობას თვითმართველობის საქმიანობაში. ამას გარდა გავაცანი სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ეხება პროფესიული სასწავლებლების მნიშვნელობასა და პერსპექტივებს.

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში პერიოდულად ვხვდებოდი მოსახლეობას სადაც გამოვლინდა შემდეგი პრობლემები, რაც აისახება ამომრჩეველთან შეხვედრების აქტში, რომელიც ყოველთვიურად მიეწოდება საკრებულოს აპარატს.

აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მამუკა ბაზანდარაშვილის ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

სოფ. კარალეთი **2023 წლის 26 ოქტომბერი**

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარე: დავით რაზმაძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: მამუკა ბაზანდარაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის ს.კარელეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ლელა ბზიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის მამუკა ბაზანდარაშვილის 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი მამუკა ბაზანდარაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მამუკა ბაზანდარაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2022 წლის ოქტომბრიდან 2023

წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსახლეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მამუკა ბაზანდარაშვილმა აღნიშნა, რომ აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომლის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ეკა პავლიაშვილმა, ედუარდ დანელიანმა და ვიქტორ შავშიშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: **დავით რაზმაძე;**

საკრებულოს წევრი: **მამუკა ბაზანდარაშვილი.**